პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 11 (2731) ● კვირა, 17 იანვარი, 1965 წ. ● ფასი 8 კაპ.

თბილისის „დინამოს" გამარჯვება 88:75

ვარშავა, 16 იანვარი. პოლონეთის დედაქალაქის განთავისუფლების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ კალათბურთელთა ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვა თბილისის „დინამომ". მან მოუგო ბელგრადელ სპორტსმენებს — 88:75 (41:38). დინამოელთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ უგრეხელიძე (21 ქულა) და მოსეშვილი (14 ქულა).

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: აზს-ავფ (ვარშავა) — პრაღა 65:84 (28:38), „პოლონია" (ვარშავა) — ბელგრადი 90:76 (39:35), „ლეგია" (ვარშავა) — პრაღა 83:67 (38:40).

გუშინ...

„ბიშლეტის" საციგურაოზე

ოსლო, ნორვეგია — სსრ კავშირის საციგურაო მატჩის მომწყობებმა განაცხადეს, რომ უძლიერესი საბჭოთა და ნორვეგიელი მალემსრბოლთა ასპარეზობა, რომელიც 16-17 იანვარს იყო გათვალისწინებული, ზუსტად ამ ვადებში ჩატარდება „ბიშლეტის" სტადიონზე, თუმცა ოსლოში მეტად არახელსაყრელი ამინდია — ცრის წვიმა.

და, მართლაც, გუშინ სტარტზე გამოვიდნენ მატჩის პირველი დღის პროგრამის — 500 და 5000-მეტრიან დისტანციებზე სწრაფრბენის მონაწილენი. სპრინტერულ დისტანციაზე გაიმარჯვა ნორვეგიელმა უ. ომუდტმა — 41,0. II—III ადგილებზე ერთნაირი შედეგით (41,6) გამოვიდნენ საბჭოთა მოციგურეები ა. კაპლანი და ე. მატუსევიჩი.

5000 მეტრზე გამარჯვებაც მასპინძელს — ფ. მაიერს დარჩა — 7.51,5. მას მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩა ე. მატუსევიჩი. მესამე ადგილზეა ნორვეგიელი პ.-ი. მუ — 7.53,5.

პირველი დღის ასპარეზობის შედეგად დაწინაურდნენ ნორვეგიელები — 137:135. პირად ჩათვლაში წინაა მატუსევიჩი.

ბაკურიანის ტრასებზე

ბაკურიანში, სათხილამურო სპორტში მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაზე გაიმართა შეჯიბრებები ამანათრბენში. აი, მათი ტექნიკური შედეგები: 3×3 კმ: 17-18 წლის გოგონები. 1. ბორჯომი I — 47.11; 2. მესტია — 49.46; 3. სამხრეთ ოსეთი — 54.14. 3×2 კმ: 15-16 წლის გოგონები. 1. ბორჯომი I — 29.36; 2. ახალქალაქი—36.16; 3. გარდაბანი — 38.07. 3×5 კმ: 17-18 წლის ბიჭები. 1. მესტია — 59.05; 2. ბორჯომი I — 1:02.20; 3. სამხრეთ ოსეთი — 1:03,24. 3×3 კმ: 15-16 წლის ბიჭები. 1. მესტია — 42.29; 2. ბორჯომი I — 42.42; 3. ახალქალაქი — 44.37.

4 დღის ასპარეზობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა: 1. ბორჯომი I — 29 ქულა, 2. მესტია — 41 ქულა, 3. ახალქალაქი — 100 ქულა.

ახალი ამბები

● **ლენინგრადი,** 16 იანვარი. გუშინ კავგოლოვოში დამთავრდა ფინელ და საბჭოთა არმიელ მოთხილამურეთა V ტრადიციული მატჩი. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 17:10. ისინი პირველნი იყვნენ პროგრამის სამივე სახეობაში: ბიატლონში, პატრულთა რბოლაში და ამანათრბენაში 4×10 კმ. ამანათრბენაში საბჭოთა სპორტსმენების დროა 2:18.29, ფინელებისა — 2:19.29.

● **მინსკი,** 16 იანვარი. ლენინის სახელობის მოედანზე სტარტი მიეცა „მონტე-კარლოს ავტორალის" 34-ე საერთაშორისო შეჯიბრებას. ასპარეზობაში მონაწილეობს საფრანგეთის, ინგლისის, მონაკოს, ბელგიისა და სსრ კავშირის 17 მანქანა, მათ შორის 2 „ვოლგა" და ამდენივე „მოსკვიჩ-403".

● **ბრესტი,** 16 იანვარი. „მონტე-კარლოს ავტორალის" ყველა 17-მა მონაწილემ გადალახა პირველი საკონტროლო პუნქტი. მანძილი მინსკიდან ბრესტამდე (353 კმ) ავტომრბოლელებმა საჯარიმო ქულების გარეშე დაამთავრეს. სპორტსმენებმა გადალახეს სსრ კავშირ—პოლონეთის საზღვარი და ვარშავისაკენ გაემართნენ.

ლ. სავინკოვა — პირველი მსოფლიო ჩემპიონი

რომი, 15 იანვარი. იტალიის დედაქალაქში მიმდინარე ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე საბჭოთა სპორტსმენი ლ. სავინკოვა (მოსკოვი) მსოფლიოს პირველ ჩემპიონად აღიარეს მხატვრულ ტანვარჯიშში. ასპარეზობამ, რომელიც 1963 წლის დეკემბერში ბუდაპეშტს მოეწყო, 10 ქვეყნის ტანმოვარჯიშენი მიიზიდა. 28 სპორტსმენს შორის ლ. სავინკოვას უპირატესობა აშკარა იყო: მან ოქროს ყველა მედალი მოიპოვა (საგნით, უსაგნოდ და გუნდურ ვარჯიშში). II ადგილზე გამოვიდა მისი თანაგუნდელი ტ. კრავჩენკო (მოსკოვი). ამრიგად, მიმდინარე წლის დეკემბერში პრაღის მსოფლიო პირველობა უკვე მეორე იქნება.

ჰასტინგსის საერთაშორისო ტურნირში წარმატებით ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონმა ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილმა. სურათზე, რომელიც გადმობეჭდილია იუგოსლავური ყოველკვირეული ჟურნალიდან „სპორტ უ სტორაკ", თქვენ ხედავთ ჰასტინგსის საერთაშორისო ტურნირის პირველი პარტიის დასაწყისს ნ. გაფრინდაშვილსა და ბრაზილიის ჩემპიონ ა. როშას შორის. მარცხნიდან მარჯვნივ — ა. როშა, ჰასტინგსის ლორდ-მერი, საჭადრაკო ფესტივალის საპატიო თავმჯდომარე დ. ვ. ვილსჰინი, იუგოსლაველი არბიტრი ს. პრიცა და ნ. გაფრინდაშვილი.

გუშინ ნ. გაფრინდაშვილი თბილისს დაბრუნდა.

ვ. კუცის რეკორდი „დაეცა"!

◆ **სიდნეი,** 16 იანვარი. სენსაციური ცნობა მოვიდა კუნძულ ტასმანიის ქალაქ ხობარტიდან: ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა რონ კლარკმა 5000 მეტრი გაირბინა 13 წუთსა და 34,8 წამში. ავსტრალიელმა ბულალტერმა, 27 წლის კლარკმა მოხსნა ყველაზე ძველი მსოფლიო რეკორდი მძლეოსნობაში, რომელიც 1957 წელს რომში დაამყარა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. კუცმა. ავსტრალიელის შედეგი 0,2 წამით უმჯობესია კუცის რეკორდზე. კლარკმა სარეკორდო დრო თითქმის უბრძოლველად აჩვენა, რადგან მისი თანამემამულე ტ. კუკი გამარჯვებულს 400 იარდით ჩამორჩა.

„ვარსკვლავებთან" პაექრობა ძნელია

◆ **ვენა,** 16 იანვარი. ავსტრიულ ქალაქ სანტ-ანტონში ტრადიციულ შეჯიბრებაზე „კანდაჰარის თასის" მოსაპოვებლად თავი მოიყარა ევროპის სამთო-სათხილამურო სპორტის ყველა „ვარსკვლავმა". ეს ფაქტიურად მსოფლიოს არაოფიციალური პირველობაა. პროგრამის პირველ სახეობაში — სწრაფდაშვებაში, მეტოქეებს სიურპრიზი მოუმზადა ფრანგმა სტუდენტმა ქალმა, 20 წლის ა. ფამოზმა. 2140-მეტრიანი დისტანცია (სიმაღლეთა სხვაობა — 536 მ) მან ყველაზე სწრაფად დაფარა — 1.40,11. საბჭოთა სპორტსმენები ამ სეზონში პირველად მონაწილეობდნენ „უმაღლესი კლასის" ასპარეზობაში და ამიტომ უძლიერესთა რიცხვში ვერ მოხვდნენ. მათგან საუკეთესო — ა. ივანოვა (ლენინგრადი) მხოლოდ 46-ე იყო (1.56,07), მოსკოველი ნ. მერკულოვა 51-ე ადგილზეა (1.59,15).

1. თეთრი ბილიკებით — მომავალი ბრძოლებისაკენ!

წასულ წელს ქართველ გულშემატკივრებს რესპუბლიკის ორმა გუნდმა მოუტანა დიდი სიხარული. ამ სიხარულს საფუძვლად ედო ბრწყინვალე სპორტული გამარჯვება: ორივე კოლექტივი სსრ კავშირის № 1 გუნდად იქნა აღიარებული. მკითხველი ალბათ უკვე ხვდება, რომ ლაპარაკია თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებზე და „ბურევესტნიკის" ხელბურთელებზე.

და აი, არდადეგების შემდეგ ორივე კოლექტივი კვლავ ჩადგა მომავალი სპორტული ბატალიებისთვის საბრძოლო მზადების მწყობრში. ისინი ახლა, ასე ვთქვათ, უკვე პირისპირ შერჩნენ ახალ სეზონს, რომელიც მათ — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებს — გაცილებით უფრო მეტს ავალებს...

ეს სამზადისი ორივე გუნდმა ბაკურიანში დაიწყო. მარჯვენა სურათზე დინამოელები არიან ალბეჭდილი. მათი უფროსი მწვრთნელი გ. კაჩალინი ფეხბურთელებს თხილამურებით გასავლელ ტრასას აცნობს. მეორე სურათზე ჩვენს ხელბურთელებს ჯ. ზაქარიაძეს (მარცხნივ) და თ. ზარდალიშვილს ხედავთ. ისინი ახლა სულ სხვა საქმიანობით არიან დაკავებულნი — თოვლის აბაზანებს იღებენ.

2. თეთრი ბილიკებით — მომავალი ბრძოლებისაკენ!

ქართველ ხელბურთელთა საერთო ფიზიკური მზადების „ბაკურიანულ პროგრამაში" თოვლის აბაზანებით სხეულის გაკაჟების გარდა სხვა უამრავი საშუალებაცაა გათვალისწინებული. აი, ამ პროგრამის ორი „პუნქტიც": ქვედა სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ) თქვენ ხედავთ ჩემპიონი გუნდის წევრებს ა. ექსეულიძეს, გ. მაჭავარიანს და ლ. კარტოზიას, რომლებიც მეტად სასიამოვნო და ამასთან, სასარგებლო პროცედურისთვის — თხილამურებით სასრიალოდ დაძრულან თავიანთი ბაზიდან. ზედა სურათზე ამავე გუნდის წევრი ი. ფხაკაძეა წარმოდგენილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი თხილამურებს ციგურებით სრიალს არჩევს.

ყურადღება, მეხიკო!

WE MEET AGAIN IN
MEXICO
CITY
1968
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის, რომ საზაფხულო ოლიმპიური თამაშები „საშემოდგომო" გახდა. მიაქციეთ ყურადღება: შორეულ მელბურნში იგი გაიხსნა ნოემბერში, ხორშაკიან რომში თამაშებმა დაიკავა შემოდგომის პირველი თვის — სექტემბრის 11 დღე. ტოკიოში ოლიმპიადა მიმდინარეობდა ოქტომბერში, საერთოდ, ოქროს ამინდის, მაგრამ ამჯერად წვიმიან შემოდგომაზე. ახლა კი 1968 წლის ოლიმპიადის დედაქალაქიდან — მეხიკოდან მოვიდა ცნობა, რომ ამ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ასპარეზობის ჩატარების ყველაზე შესაფერის დროდ 12-27 ოქტომბერს თვლის.

როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ასეთი გადაწყვეტილება — ჰავამ, ამინდმა? ჭეშმარიტად! იანვარში ამ ქვეყნის სამხრეთში საშუალო ტემპერატურა პლუს 25 გრადუსამდე აღწევს. ამას შეიძლება ისიც დავუმატოთ, რომ მექსიკის მთიანეთი სიმაღლის მიხედვით იყოფა 4 სარტყლად, რომელთაც სხვადასხვა კლიმატური პირობები ახასიათებთ; მათგან ორს საგულისხმო სახელწოდება აქვს — „ტიერა-კალიენტე" (მცხუნვარე მიწა) და „ტიერა-ტემპლადა" (ზომიერი მიწა).

მაგრამ საქმე მარტო ამინდში როდია. მექსიკელებისთვის 12 ოქტომბერი სადღესასწაულო თარიღია. იგი მთელს ქვეყანაში აღინიშნება მხიარული, მდიდრული კარნავალებით. ეს „დია დე ლია რაზაა"—კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის დღე. ისტორიის მოყვარულებს გავახსენებთ: 1492 წლის 12 ოქტომბრის ღამით მამაცი მეზღვაურის კარაველებმა მიაღწიეს ბაგამის კუნძულების ერთ-ერთ ნაწილს, რომელიც ცნობილია გუანახანის, სან-სალვადორის ან უოტლინგის სახელწოდებით.

ამრიგად, 1968 წლის 12 ოქტომბერს ჩვენი დროის ოლიმპიური კოლუმბები ხელახლა აღმოაჩენენ „სპორტულ ამერიკას". დიახ, ასე დამკვიდრდა: უკანასკნელ ხანებში ოლიმპიადა ერთი კონტინენტიდან მეორეში „მოგზაურობს". ავსტრალიიდან იგი ესტუმრა ევროპას, შემდეგ — აზიას. ახლა კი ოლიმპიური ცეცხლი ამერიკის კონტინენტის უძველეს მკვიდრთა ქვეყანაში იკაშკაშებს. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე დედაქალაქებში მეხიკო უძველესთა რიცხვს მიეკუთვნება. ქალაქი აცტეკების მიერ 1325 წელს დაარსდა და ძნელად გამოსათქმელი სახელი — ტენოჩტიტლანი ერქვა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს დღეებს. რა შეიძლება ითქვას მეხიკოზე — მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქზე? როცა წყდებოდა ამ ქალაქის არჩევის საკითხი, მისი კონკურენტები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე ამტკიცებდნენ, რომ მექსიკელებს არა აქვთ დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზაციის საკმარისი გამოცდილება. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ არც ავსტრალიელებს ჰქონდათ ეს გამოცდილება მელბურნში თამაშების დაწყების წინ. მექსიკელების მიმართ მათი მეტოქეები ტყუოდნენ. საკმარისია გავიხსენოთ უკანასკნელი 10 წლის ამბები. მეხიკოში ჩატარდა კარიბის ზღვის ქვეყნების თამაშები, ცენტრალური ამერიკის ქვეყნების თამაშები, 1955 წლის პანამერიკული თამაშები, 1962 წლის მსოფლიო პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში.

ამტკიცებდნენ აგრეთვე, რომ მეხიკოში ფართო ოლიმპიური პროგრამის ყველა შეჯიბრების ჩასატარებლად სპორტული ნაგებობანი არ ეყოფათ. აქაც ცდებიან მეხიკოს მოწინააღმდეგენი: მექსიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ქალაქის სამხრეთ ნაწილში სულ მალე დაიწყება ახალი სტადიონის მშენებლობა, რომლის ტრიბუნები 120 ათას მაყურებელს დაიტევს. სხვათა შორის, შესაძლოა სწორედ ამ სტადიონზე ჩატარდეს ფეხბურთში 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩები. გარდა ამისა, მეხიკო ფლობს დიდ საუნივერსიტეტო სტადიონს, სადაც მიმდინარეობდა პანამერიკული თამაშები. გამორიცხული არაა, რომ სწორედ ეს ნაგებობა გახდება თამაშების მთავარი ცენტრი. მონაწილეთა დაბინავების საკითხი არავის არ უნდა აწუხებდეს. უკვე იგეგმება ოლიმპიური სოფლის (ვაჟთათვის და ქალთათვის ცალცალკე) მშენებლობა.

როგორ გადაწყდება ოლიმპიადის სტუმრების, ჟურნალისტების, ტურისტთა მრავალათასიანი არმიის მიღების საკითხი? მათი დაბინავება და კვება პრობლემა არ არის. მეხიკო ხომ უზარმაზარი ქალაქია სამმილიონნახევარი მცხოვრებით! აქ უამრავი სასტუმრო და რესტორანია.

რასაკვირველია, ოლიმპიადის ორგანიზატორებს დიდი გაწამაწია და საგანგაშოც კი აქვთ. მაგრამ ყოველი ოლიმპიადის წინ ასე იყო და ცნობილია, რომ რარიგ ძნელიც გახლდათ თამაშებისთვის მზადება, არც ერთი მათგანი არ ჩაშლილა. ასე იქნება, ალბათ, მეხიკოშიც. ერთადერთი რამ, რაც სიძნელეს იწვევს, ეს არის მონაწილეთა აკლიმატიზაციის პრობლემა.

მეხიკო მთიანი ქალაქია. იგი ზღვის დონიდან 2240 მეტრზე მდებარეობს (შედარებისთვის მოვიყვანთ მაგალითს: ერევანი ზღვის დონიდან 900-1300 მეტრზეა).

ძნელია შეეჩვიო მაღალმთიანეთის კლიმატურ პირობებს, მით უმეტეს—აქ ასპარეზობას. ოლიმპიური მეხიკოს პრობლემებმა მიიზიდა ბევრი სპეციალისტი — კარდიოლოგები, პნევმოლოგები, ფსიქონევროლოგები. მათი აზრები გაიყო.

მეხიკოს კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, დოქტორი ლუის მენდეზი ამტკიცებს, რომ 2000 მეტრის სიმაღლეს „ადვილად შეეგუება ჯანმრთელი, ნორმალური ორგანიზმის მქონე ადამიანი და სიმაღლე მას ფიზიკურ მუშაობაში ხელს არ შეუშლის".

სხვა აზრისაა კენტუკის (აშშ) უნივერსიტეტის დოქტორი ერნსტ ჯოკლი: „თუკი სპორტსმენებს სურთ მეხიკოში მაღალ შედეგებს მიაღწიონ, საჭირო იქნება არა ნაკლებ ორნახევარი თვე წინასწარი ვარჯიშისათვის ამ სიმაღლეზე. მაინც ვშიშობ, რომ საქმე გვექნება სიძნელეებთან მარათონსა და გრძელ დისტანციებზე მორბენალ სპორტსმენთა გულის მუშაობაში".

საინტერესოა არგენტინელი ჟურნალისტის ერიკ ვეილის საფუძვლიანი სიტყვები. იგი წერს, რომ 1955 წლის პანამერიკული თამაშებისთვის არგენტინის გუნდმა მომზადება დაახლოებით 6 თვით ადრე დაიწყო. ჩატარდა მონაწილეთა სპეციალური „სიმაღლოვანი" შეკრებები. სპორტსმენები, რომლებმაც ვერ აიტანეს აქ ვარჯიში, სულაც დაითხოვეს გუნდიდან. ჩამოსვლის პირველ დღეებში ბევრ სპორტსმენს აწუხებდა თავის ტკივილი, ნერვულობა, შუილი ყურებში, ყელის სიმშრალე, ცუდი ძილი. ზოგიერთს ტუჩებიც კი დაუსკდა. დღის მცხუნვარებისა და ღამის სიცივის კონტრასტმა ბევრი ავად გახადა.

მონაწილეთა უმრავლესობისთვის ყველაზე ძნელი გამოდგა აკლიმატიზაციის მეორე და მესამე დღე, დანარჩენებისთვის კი — მეოთხე და მეხუთე. ექიმებმა სპორტსმენებს კატეგორიულად „გამოუწერეს" დინჯი, აუჩქარებელი სიარული, კიბეზე ნელა ასვლა, თამბაქოზე უარის თქმა და სითხის რაც შეიძლება ნაკლებად მიღება. მონაწილენი დღეში ოთხჯერ მსუბუქად იკვებებოდნენ. პირველ დღეებში ვარჯიში არ ტარდებოდა.

ვეილის სიტყვებით, აკლიმატიზაციის მეთხუთმეტე დღეს არასასურველი მოვლენები შეწყდა და თითქმის ყველა სპორტსმენი თავს ჯანმრთელად და სავსებით შრომისუნარიანად გრძნობდა.

ყველაზე ავტორიტეტული მაინც იმ სპორტსმენთა აზრია, რომლებიც უკვე იყვნენ მეხიკოში. მაგალითად, აქ სპორტის რამდენიმე სახეობაში გამოდიოდნენ საბჭოთა ხუთჭიდელები — ი. ნოვიკოვი, ე. სდობნიკოვი, ვ. პიჩუჟკინი. თანაც ამ შეჯიბრებაში საჭირო იყო სხვადასხვა თვისების გამოვლენა (სისწრაფის, გამძლეობის, „აფეთქების" უნარისა). ჩვენს სპორტსმენებს მეხიკოში აკლიმატიზაციისთვის მხოლოდ 9 დღე ჰქონდათ. რასაკვირველია, პირველ ხანებში მათ ძალიან გაუჭირდათ — მუდამ ეძინებოდათ, ენერგიული მოქმედების დროს არ ყოფნიდათ ჰაერი, თვალსაჩინოდ გაუხშირდათ მაჯისცემა. მაგრამ საბჭოთა სპორტსმენებმა არა მარტო დააღწიეს თავი მათთვის უჩვეულო ვითარებას, არამედ მოიგეს კიდეც 1962 წლის მსოფლიო პირველობა.

დიახ, გამარჯვება შეიძლება მაღალმთიანეთის უჩვეულო პირობებშიც.

მ. ზახლავსკი

ველოსიპედით დედამიწის გარშემო

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მილანიდან გადმოცემს:

იაპონელი სტუდენტი ტაკაფუმი ოგასავარა, რომელიც ტოკიოდან ველოსიპედით გამოემგზავრა დედამიწის გარშემო სამოგზაუროდ, ჩამოვიდა მილანში. იგი მგზავრობს თავისი სარბოლო ველოსიპედით და აქედან მიემართება ინგლისსა და სკანდინავიაში, ხოლო შემდეგ განზრახული აქვს სამშობლოში დაბრუნდეს რუსეთის გავლით.

ტაკაფუმი ოგასავარამ, რომელიც ამჟამად 19 წლისაა, თქვა, რომ იგი ტოკიოდან გამოვიდა 5 მაისს, რათა გაიმდიდროს საკუთარი ცოდნა გეოგრაფიაში. იგი ეწვია ჰონკონგს, ვიეტნამს, კამბოჯას, ტაილანდს, სინგაპურს, ცეილონს, ინდოეთს, აფრიკას, ესპანეთს, საფრანგეთს, შვეიცარიას და იტალიას.

„მთელი ამ ხნის განმავლობაში პედალებს ვატრიალებდი, — ამაყად თქვა მან, — თუ გამოვრიცხავთ რამდენიმე გადასვლას ზღვაზე. ძალიან მინდოდა შევხვედროდი რამდენიმე სახელგანთქმულ იტალიელ მრბოლელ-ველოსიპედისტს, მაგრამ მითხრეს, რომ მათი უმრავლესობა ამჟამად რივიერაზე ვარჯიშობს. მინდოდა ბედი მეცადა რომში თქვენს რბოლებზე".

„5 ეროვნების" თასზე

კარდიფი, 16 იანვარი. უელსის რეგბისტთა ნაკრებმა დღეს აქ „5 ეროვნების" თასის გათამაშების კალენდარულ მატჩში დაამარცხა ინგლისის გუნდი — 14:3. ამ ორი ქვეყნის გარდა ტურნირში მონაწილეობენ საფრანგეთის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები გუნდები.

ზრუნვამოკლებული კოლექტივი

არ იყო მოედანი და ახალგაზრდებმა საკუთარი ძალებით მოაწყეს იგი. ბალახი დათესეს, იქაურობა მწვანე ხავერდოვან ასპარეზად აქციეს. ნაავდრალს წყლით დატბორილი ადგილები უმალვე წესრიგზე მოუყავდათ დაუზარელ ბიჭებს.

დიდსა თუ პატარას — ყველას სპორტული ბაზებისკენ მიუწევდა გული. ქალიშვილები და ჭაბუკები სხვადასხვა სექციაში სისტემატურ წვრთნას გადიოდნენ, ზოგჯერ ოფიციალურ პაექრობასაც მართავდნენ და გულშემატკივართა ყიჟინა სოფლის შუაგულამდე აღწევდა. საგარაკო სეზონში ჩამოსული გოგო-ბიჭებიც ყოველდღე აქეთ მორბოდნენ და მასპინძლებთან ჭიდილში ძალებს ცდიდნენ.

ფეხბურთელები და მოჭიდავეები, ფრენბურთელები და მძლეოსნები არათუ „ბედავდნენ" რაიონულ ასპარეზობაში მონაწილეობას, არამედ ხშირად საპრიზო ადგილებსაც იკავებდნენ. სურამის კოლმეურნეობის წარმომადგენლებთან შეხვედრა ბევრს ძვირად უჯდებოდა და ქულას ქულაზე კარგავდა.

ამიტომაც იყო, რომ ხაშურში სურამელ სპორტსმენებს მოწინავეთა შორის ასახელებდნენ და აუგის სათქმელად ენა არავის უბრუნდებოდა. დაბაშიც და რაიონის ცენტრშიც ყველას ეგონა, რომ ახალგაზრდობის თაოსნობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა, მასობრივი გახდებოდა.

ვინ იცის, იქნებ მართლაც ასე მომხდარიყო, არტელის გამგეობას „ამინდი" რომ არ შეეცვალა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. გოგოლაძემ განკარგულება გასცა, მწვანე მინდორი ნახნავად ექციათ. ნათქვამია, ძალა აღმართსა ხნავსო. ეს ანდაზა უსაფუძვლო არც სურამში გამოდგა, მით უმეტეს მოედანი აღმართს კი არა, გულდასმით მოსწორებულ ვაკეს წარმოადგენდა. ან კი რა უნდა ექნათ მექანიზატორებს?! დამწუხრებულებმა მოედანს ლითონის გოლიათები მიუსიეს და ნიკოლოზის საწადელი აასრულეს. ეულად დარჩენილი სპორტსმენები აქეთაც ეცნენ, იქითაც, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. არტელის მესვეურებს ისიც კი ვერ ათქმევინეს, რომ ოდესმე ახალ ნაკვეთს გამოგიყოფთო.

ეს უმგვანო ამბავი 1963 წელს მოხდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ამინდი მაინც არ შეცვლილა. ახალგაზრდებს არ გააჩნიათ სპორტული ინვენტარი და ფორმა, არც ბაზების აღდგენაზე იწუხებს ვინმე თავს. ყოფილ მოედანზე თივაა დაზვინული და იქით გამვლელი სპორტსმენები ტკბილი ოცნებით იხსენებენ დაკარგულ ტრადიციებს. ახლა, როცა ხაშურში რაიონული ასპარეზობანი იმართება, სურამელ კოლმეურნეთა მონაწილეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. უკეთეს შემთხვევაში, ისინი მაყურებელთა რიგებს ავსებენ.

ეს ამბები მრავალდარგოვან კოლმეურნეობაში მოხდა, სადაც თვითეულ უბანზე გარკვეული წარმატებებია მოპოვებული. რა მოხდებოდა, რომ ეს სპორტსაც დატყობოდა და ძველებურად ამოქმედებულიყვნენ სექციები?

ნეტავი თუ შეიძლება ამ საქმის მოგვარება?!

შეიძლება კი არა, ეს სავალდებულოცაა!

ა. მახვილაძე
(ჩვენი სპეც. კორ.).

სურამი.

სსრ კავშირის
XXXII საჭადრაკო
ჩემპიონატი

შეხვედრები ფინიშის მიჯნაზე

●

IX—XII ტურების მიმოხილვა

●

— პირდაპირ საოცარია, რომ ტალი აქამდე ვერ აეწყო „ტალისებურ" სტილზე. ალბათ ყველამ კარგად შეისწავლა მისი თამაშის მანერა, — თქვა ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა ვ. მიკენასმა.

ამას თუ დავუმატებთ კიევის ცვალებად ამინდს (ყინვას მზიანი დარები ცვლის), რის გამოც ტალმა იავადმყოფა კიდეც, გასაგები გახდება რიგელი დიდოსტატის მოკრძალებული ბალანსი — 1 ქულა და 3 დაუმთავრებელი პარტია. მიუხედავად ამისა, ტალი მაინც ტალია და მისი შეხვედრები მუდამ ყურადღების ცენტრშია.

იშვიათი მონდომებით იბრძვის კორჩნოი. იგი შემტევი სტილის დიდოსტატი არ გახლავთ, მაგრამ მოხერხებულად და „ვერაგულად" ართულებს თამაშს და აი, სწორედ აქ — „ამღვრეულ წყალში" — სჯაბნის მეტოქეებს — ღორჯოებს (ე. ი. „ერთიანებს") იჭერს. ბოლო ოთხ შეხვედრაში მან მოუგო ვასიუკოვსა და ლუტიკოვს. ყაიმზე შეუთანხმდა კროგიუსს და ტალთან ოდნავ უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია.

აი, შეწყვეტილი პოზიცია (42-ე სვლა ჩაიწერეს თეთრებმა).

კორჩნოი (თეთრები): მფg1, ეd7, მg5, პპ. e3, f4, g2 (6).

ტალი (შავები): მფf6, ეh5, კg8, პპ. f5, g6, h7 (6).

— რამდენი პარტია მოგიგიათ ტალთან? — ვკითხე კორჩნოის.

— 7. ერთი წავაგე.

— შეიძლება მერვე პარტიაც მოიგოთ?

კორჩნოიმ გაიღიმა. როგორც ჩანს, ლენინგრადელი დიდოსტატი ჩემპიონის ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტია. სხვათა შორის, იგი ერთი „მოჰიკანიღა" დარჩა, რომელსაც ჯერ არ განუცდია დამარცხების სიმწარე.

კიეველები გულშემატკივრობენ ბრონშტეინს, რომელიც თავს არ იზოგავს. 3 ქულა 4-დან და ბრწყინვალედ მოგებული პარტია მოსკოვის ჩემპიონ ბაკულინთან — აი, მისი ბოლო შედეგები.

ბაკულინი — ბრონშტეინი

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 მf6 5. მ:f6+ gf 6. კe3 კf5 7. ლd2 e6 8. მe2 მd7 9. მg3 კg6 10. კe2 ლc7 11. 0—0 h5 12. ეfd1 h4 13. მf1 h3 14. g3 0—0—0

მდგომარეობა გაირკვა. ბრონშტეინმა არა მარტო გაათანაბრა თამაში, არამედ ინიციატივაც იგდო ხელთ. მისი გეგმაა შეტევა თეთრ მეფეზე.

15. c4 c5 16. d5 e5 17. ეac1 f5 18. b4 (ბაკულინმა ცენტრის ჩაკეტვით დააჩქარა თავისი იერიში, მაგრამ შემტევი ფიგურების მცირე რაოდენობის გამო ვერაფერს აღწევს) 18... კd6 19. f3 f4 20. კf2 ეde8 21. მფh1 ეhg8 22. ეe1 e4 23. კ:c5 მ:c5 24. bc ლ:c5 25. კd1 კc7!

ბრონშტეინი მოხდენილად უტევს თეთრ მეფეს. ბაკულინი ყრუ დაცვაზეა გადასული.

26. gf e3 27. ლe2 (და არა 27. ლb2 e2 და 28... კb6 გამო) 27. ... კd3! 28. ლ:d3 ეg1+ (ლამაზი ფინიში) 29. მფ:g1 e2+ 30. მe3 (30. მფh1-ზე იგებს ლf2) 30. ... ე:e3 31. ლf5+ ეe6+ 32. მფh1 ლf2 ბაკულინი დანებდა.

არქიტექტორთა სასახლის დარბაზი, სადაც ჩემპიონატი მიმდინარეობს, მუდამ ხალხითაა სავსე. ამის მიზეზია დაძაბული ბრძოლა, რაც განაპირობა 30-ე სვლამდე ყაიმზე შეთანხმების აკრძალვის გაუქმებამ. მოჭადრაკეები თვითონ გაურბიან „დიდოსტატურ ყაიმებს". ეს კი იმიტომ ხდება, რომ ჩემპიონატი არ არის რომელიმე მომავალი ტურნირის შესარჩევი ასპარეზობა. ყველა ცდილობს შესაძლებლის მაქსიმუმს მიაღწიოს და პარტიების ხარისხიც მაღალია.

ჯერჯერობით საუკეთესოდ აღიარებულია ავერბახ — სახაროვის პარტია. ავერბახმა იგი ამ პოზიციამდე მიიყვანა და გადადო.

სახაროვი



ავერბახი

თამაში ასე გაგრძელდა:

41... ლg7 42. ef ლh7 (თუ 42... ლg5, მაშინ 43. ეf5 ეh4 44. ეf1 ეc7 45. ლg6+ მფh8 46. ლg6+ მფh8 47. f7 მოსაგები პოზიციით) 43. f7+ მფh8 44. ლd4+ ლg7 45. ლf2 ლg6 46. ეf5 მფg7 (არ შეიძლება 46... ე:f7 47. ლh4+ გამო) 47. ლd4+ მფh7 48. ეf6 ლg5 49. ეh6+ ლ:h6 50. მ:h6 შავები დანებდნენ.

პარტიის შემდეგ ყველა გააოცა შეწყვეტილ პოზიციაში ავერბახის ანალიზის სიღრმემ. აი, როგორ იგებდა იგი შავების 41... fe, 41... de და 41... f5-ის შემთხვევაში.

41... fe 42. ლg6+ ლg7 43. მh6+ მფh8 44. ე:f8+ ლ:f8 45. მf7+.

41... de 42. მh6+ მფh8 43. ეh4 ლg7+ 44. მფf3 e4+ 45. ლ:e4 f5 46. მ:f5+ მფg8 47. ლe6+ ეf7 48. ეg4.

41... f5 42. ე:f5 ე:f5 43. ლ:f5 de 44. d6 ლb7+ 45. მფg3 ეg1+ 46. მფh4 ლh7+ 47. ლ:h7+ მფ:h7 48. d7 ეd1 49. მ:e5 მფg7 50. მფg5 მფf8 51. მფf6 ეd6 52. მფf5 და h პაიკმა უნდა გადაწყვიტოს პარტიის ბედი.

კიდევ ბევრი კარგი პარტიის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ მკითხველები მათ მონახავენ ჩემპიონატისადმი მიძღვნილ სპეციალურ ბიულეტენებში.

ინტერესმოკლებული არ იქნება ამ ბიულეტენის რედაქციის მიერ ჩემპიონატის მონაწილეთა ერთი „დაკითხვა". რედაქციამ ყველას მიმართა შეკითხვით: ვინ შეხვდება მატჩში პეტროსიანს?

ოთხმა მოჭადრაკემ დაასახელა სპასკი და ტალი. კორჩნოიმ ის, ვინც სპასკი — კერესის ორთაბრძოლაში გაიმარჯვებს. ოსნოსის აზრით, ის, ვინც გაიმარჯვებს ტალისა და სხვა საბჭოთა პრეტენდენტის შეხვედრაში. ბაკულინმა დაასახელა ბოტვინიკი. შტეინმა და სხვებმა აღიარეს, რომ უჭირთ რაიმეს თქმა. ტალმა კი ესა თქვა: „ვიცი, მაგრამ ვერ გაგიმხელთ".

ასპარეზობის მესამე კვირის გმირია შტეინი (3,5 ქულა 4-დან), რომელიც ყველა შეხვედრაში გამარჯვებისკენ მიილტვის. სამაგიეროდ, ავერბახი, ხოლმოვი და სუეტინი ყაიმებით კმაყოფილდებიან.

საკვირველია, რომ სუეტინს ჯერ არც ერთი მოგება არა აქვს.

ნეტავ რას უქადის ფინიში მონაწილეებს?

ე. ბუჩმა

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
კიევი.

სტარტზეა სიჭაბუკე

ბაკურიანი, 16 იანვარი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). საქართველოს მოსწავლე-მოთხილამურეთა შეჯიბრების მესამე დღე სპეციალურ სლალომს დაეთმო. სამწუხაროდ, კოხტა-გორას ფერდობზე საბრძოლველად 10 გუნდიდან მხოლოდ 5 — ბორჯომის, მესტიის, ლენტეხის, ახალქალაქისა და სამხრეთ ოსეთის ნაკრებთა სპორტსმენები გამოვიდნენ, მაგრამ ბრძოლის სიმძიმეს ყველამ ვერ გაუძლო და ჩათვლა მარტო ბორჯომისა და მესტიის მოთხილამურეებმა მიიღეს.

ორივე ასაკის ჭაბუკებისთვის 400-მეტრიან ტრასაზე დადგმული იყო 41 კარი. 17-18-წლიანთა ტურნირში პირად პირველობაში მონაწილემ, ბაკურიანის საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა გ. ჯიჩოევმა (1.14,5) გაიმარჯვა. მომდევნო ადგილებიც მის თანასკოლელებს, ბორჯომის I გუნდის წევრებს — ვ. მიქაბერიძესა (X კლასი) — 1.29,8 და ო. ხაჩატუროვს (IX კლასი) — 1.31,5 ხვდათ წილად.

ბორჯომის გუნდების მოთხილამურეთა უპირატესობით აღინიშნა 15-16-წლიანი ბიჭების შეჯიბრებაც. აქ I და II ადგილები დაიკავეს ბორჯომის I გუნდის წევრებმა, მეშვიდეკლასელებმა დ. თვაურმა და ა. სტეფანიანმა. გამარჯვებულის დროა 1.21,4. სტეფანიანი მას 0,3 წამით ჩამორჩა. III ადგილი დაიკავა ბორჯომის II გუნდის სლალომისტმა, ბაკურიანის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ რ. აკოფოვმა — 1.24,5.

როგორც უფროსი, ისე უმცროსი ასაკის გოგონებისათვის ტრასა 100 მეტრით შეამცირეს, კართა რაოდენობა კი — შვიდით. თუ უფროს ასაკში მიუწვდომელი იყო მესტიელი ნ. ფილიანი (IX კლასი) — 58,5, ხოლო მომდევნო ადგილები ბორჯომის I გუნდის წევრებმა ც. ჯერანაშვილმა (1.23,1) და ზ. გავამ (1.46,2) დაიკავეს. უმცროსთა შორის გაიმარჯვეს ბორჯომის I გუნდის წარმომადგენლებმა — ე. გავამ — 1.01,2 და მ. თვაურმა (ორივე ბაკურიანის სკოლის მერვეკლასელია)—1.09,2. მესტიელი, VII კლასის მოსწავლე ა. ჯაფარიძე ფინიშთან მხოლოდ III იყო — 1.16,6.

თ. გაჩეჩილაძე

თხილამურები ციგურები

ნახაზები ყინულზე

ბაკურიანი, 16 იანვარი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). დაბის ბაზებზე სპორტული პაექრობანი დილიდან საღამომდე არ წყდება. გუშინ, როგორც კი მოსწავლე-მოთხილამურეთა ასპარეზობა დამთავრდა, „დინამოს" საციგურაოზე სტარტი მიეცა რესპუბლიკის უძლიერეს ფიგურისტთა IV გათამაშებას საქართველოს სპორტკავშირის პრიზზე. ტურნირში ჩაება თბილისის 16 სპორტსმენი.

შეჯიბრება გაიხსნა წყვილთა კომპლექსური ცეკვით. გამოდიოდა მხოლოდ ერთი ორეული — თბილისის 27-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ნ. ცხადაია და უცხო ენათა ინსტიტუტის მეხუთეკურსელი ი. კუკულაძე.

ფიგურულ სრიალში მონაწილენი ჭაბუკთა I და მოზარდთა I თანრიგის მიხედვით ორ ჯგუფად დაიყვნენ. იმის გამო, რომ მოედანი უხეიროდ მომზადებული, მსაჯთა კოლეგიამ პროგრამიდან ამოიღო სავალდებულო ვარჯიშები და გამარჯვებულებს გამოავლენს მხოლოდ ნებისმიერ ვარჯიშთა ორი დღის ჯამი.

პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ: ჭაბუკთა I თანრიგში — თბილისის მე-100 სკოლის მერვეკლასელი ზ. ედიშერაშვილი — 207,2 ქულა, 102-ე სკოლის მერვეკლასელი ა. შამკულაშვილი — 106,0 და 71-ე სკოლის მეექვსეკლასელი ნ. სარაჯიშვილი — 96,5 ქულა.

გოგონებში ლიდერობენ: 54-ე სკოლის VII კლასის მოსწავლე თ. ჯიქია—123 ქულა, 50-ე სკოლის IV კლასის მოსწავლე ნ. სირაძე — 86,5 და 23-ე სკოლის მეექვსეკლასელი დ. ხარშილაძე — 85 ქულა.

მოზრდილთა I თანრიგში შესანიშნავად გამოდის ჭაბუკთა საკავშირო პირველობის ჩემპიონი, 46-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე ი. ჯაფარიძე, მას ჯერჯერობით 247,2 ქულა აქვს. გოგონათა შეჯიბრების ლიდერმა, 37-ე სკოლის მეათეკლასელმა ი. არხანგელსკაიამ მოაგროვა 207,2 ქულა.

3. თეთრი ბილიკებით — მომავალი ბრძოლებისაკენ!

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ქართველ ფეხბურთელებს ბაკურიანის თეთრ ბილიკებზე არანაკლები ჯაფა ადგათ „გადაადგილების" თვალსაზრისით, ვიდრე მწვანე მინდვრებზე; და ისინი თოვლიანი ტრასების დასალაშქრავადაც ლამის ისეთივე გულმოდგინებით ემზადებიან, როგორც საფეხბურთო სარბიელზე გამოსასვლელად.

მარჯვენა **სურათზე** სწორედ ამ სამზადისის მომენტია წარმოდგენილი: თბილისელთა კაპიტანი შოთა იამანიძე ალბათ თხილამურებითაც აპირებს თავისი სახელგანთქმული რეიდების იმიტირებას და საამისოდ საგულდაგულოდ აპოხიერებს „ზამთრის ბუცებს".

და აი, ჩვენი „ოქროს ბიჭები" თვით ტრასაზე (**სურათი** მარცხნივ). ზოგი ჩამორჩა. ზოგს თხილამურმა უმტყუნა. ზოგმა, ალბათ, როგორც შეამჩნევთ, მარცხიც იწვნია... ზოგი კი მაინც მხნედ მიუყვება გატკეპნილ გზას. საბოლოოდ კი, ყოველ მათგანს დატვირთვის მაინც ერთნაირი „ულუფა" ხვდება — ტრასა ყველამ უნდა დაამთავროს და ერთნაირი წილით მიიღოს ეს უებარი საშუალება კუნთების გასამაგრებლად, ფილტვების გასაწმენდად, ფიზიკური ძალისა და ამტანობის გასამტკიცებლად.

4. თეთრი ბილიკებით—მომავალი ბრძოლებისაკენ!

ახლა, როცა მორიგი დღის მთელი ეს „ოფიციალური პროგრამა“ ამოწურული და დაძლეულია, ფეხბურთელებსაც და ხელბურთელებსაც უფლება აქვთ საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენონ თავისუფალი დრო, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ ოჯახებსაც მიხედონ.

ამ თვალსაზრისით — ოჯახური „თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ბაკურიანში ყველაზე მძლავრად „კოტრიკაძეების დინასტიაა“ წარმოდგენილი. ეს უბრალო მათემატიკის საქმე გახლავთ: ორ კოტრიკაძეს — მწვრთნელსა და მეკარეს — გასაგებია, ორჯერ მეტი „სულადობაც“ აწევს მხრებზე და ამ „სიმძიმეს“ ცხადია, ცხენის მარხილს უფრო ანდობენ. რაც შეეხება ჯემალ ცერცვაძეს, ხელბურთელთა შეტევის ლიდერს, იგი ამ მხრივ „დაჩაგრულია“. არა, საქმე იმდენად სულადობაში არ გახლავთ, რამდენადაც იმაში, რომ მას ლამისაა მართლა საკუთარი მხრებით უხდება მეუღლისა და გოგონას ზიდვა.

და, ბოლოს, ეს, ცოტა არ იყოს, საჩოთირო სიტუაციაც (მესამე სურათი): ვილაც ჯერ არაფრით გამოჩენილ, თითქმის სულ ახლა ფეხადგმულ ცეროდენას საკუთარი იუმორის ობიექტებად სახელგანთქმული ფეხბურთელები, ჩვენი ქვეყნის ნაკრების ყოფილი და ახლანდელი წევრები რამაზ ურუშაძე და გიორგი სიჭინავა უქცევია...

არნახული თავხედობაა!...

მაგრამ, რას იზამ, როცა თხილამურებით ზოგჯერ შენ თვითონ მოექცევი ახალფეხადგმულის მდგომარეობაში?!

ფოტორეპორტაჟი ჩვენი სპეც. კორ. ფ. კრიმსკისა.

ალენ კალმა დაუბრუნდა სპორტს

სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ციგურებით ფიგურულ სრიალში, 24 წლის ალენ კალმა 1964 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ განუდგა სპორტს, რათა მეტი დრო დაეთმო სწავლისთვის.

მაგრამ ამას წინათ კალმამ შეცვალა პირვანდელი გადაწყვეტილება და ამ დღეებში მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის პირველობაში.

ახლა კალმა ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც მოსკოვში შედგება. როგორც გაზეთი „იუნგე ველტი“ (გდრ) იუწყება, კალმას რეალური შანსები აქვს შეინარჩუნოს კონტინენტის ჩემპიონის წოდება, რომელსაც იგი ატარებდა 1962, 1963 და 1964 წლებში.

„ბეტონის“ პრობლემა და თავდასხმა

გერმანული გაზეთის „დოიჩე შპორტეხოს“ კორესპონდენტებმა ორი შეკითხვით მიმართეს ევროპის გამოჩენილ ფეხბურთელებს და მწვრთნელებს.

● დაცვითი ფეხბურთი ევროპის კოზირია. რა პერსპექტივაა თავდასხმის წინაშე?

● როგორი იქნება ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ძალთა შეფარდება მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე?

ფ. ჰენტო,
მადრიდის „რეალის“ კაპიტანი.

● მას შემდეგ, რაც გამოჩნდნენ გუნდები, რომლებიც დაცვითი ფეხბურთის საკუთარ სკოლას ქმნიან მილანის „ინტერნაციონალეს“ მსგავსად, თავდამსხმელისთვის საკმარისი აღარაა მთელი ძალით და დიდი სისწრაფით თამაში და მოპირდაპირე მცველთათვის გვერდის ავლა. ახლა გამოყენებულ უნდა იქნას თვითეული „ხვრელი“ ზუსტი გადაცემისა და თავისუფალ ადგილზე სწრაფი გასვლისთვის. თავდამსხმელის უბურთოდ თამაშს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა კარგ ფორვარდს, რა თქმა უნდა, უნდა ჰქონდეს ბურთის დამუშავებისა და დარტყმის მაღალი ტექნიკა.

● მსოფლიო ფეხბურთი გათანაბრდა. ინგლისში ჩასული 16 გუნდიდან ყველა არ იქნება უძლიერესი, ვინაიდან ქვეჯგუფებში ხვდებიან დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები. პროგნოზი ძნელი გასაკეთებელია, მაგრამ, ვფიქრობ ბრაზილიას ამჯერად გაუძნელდება. სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ფეხბურთი სასწორზე რომ მოვათავსოთ, იგი დაახლოებით თანაბარ მდგომარეობას მიიღებს, ან ოდნავ თუ გადაიხრება ევროპის მხარეს.

ი. მასოპუსტი,
პრაღის „დუკლას“ ნახევარმცველი.

● რომ შევებრძოლო დაცვით ფეხბურთს, რომელსაც დღეს ასე დიდ ყურადღებას აქცევენ, ჯერ ერთი, უნდა იყო ტექნიკურად მომზადებული თავდამსხმელი და, გარდა ამისა, საბრძოლველად ისევე განწყობილი, როგორც მცველი. ჩვენში თავგამოდებით მხოლოდ მცველები თამაშობენ და ფორვარდებიც ასე უნდა თამაშობდნენ. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ე. წ. ერთი შეხებით თამაშს. მაგალითი უნდა ავიღოთ პოსპიჰალისა და ჰენტოსაგან.

● საუკეთესო ფეხბურთელები ბრაზილიელები არიან. 1958 წლის შვეციის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ აღფრთოვანებული ვარ მათი თამაშით. ბრაზილიელები უკიდურესი „ინდივიდუალისტებისგან“ ქმნიან გუნდს. ჩემი აზრით, მომავალი ჩემპიონატის ფავორიტი ორია — ბრაზილია და ინგლისი.



ე. ერერა,
მილანის „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელი.

● აქსიომაა, რომ ძლიერ გუნდს ძლიერი დაცვა უნდა ჰყავდეს. მცველებს უნდა შეეძლოთ მეტოქის ოდნავი შეცდომის ან უზუსტობის მყისვე შენიშვნა და შედეგიანად გამოყენება.

ა. პიკი,
მილანის „ინტერნაციონალეს“ კაპიტანი.

● დღეს მოთამაშეს გაცილებით მეტი მოეთხოვება, ვიდრე 20-30 წლის წინ. განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნები თავდამსხმელთა მიმართ. მათ უნდა ახასიათებდეთ კარგი ფიზიკური მომზადება, შეეძლოთ თამაში დაცვაშიც. გამჭრიახობისა და სისწრაფის გარდა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სიზუსტეს. ჩემი აზრით, მთავარია ფეხბურთელის ათლეტური აგებულება, რაც მას შესაძლებლობას მისცემს ცხარე ორთაბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეს. მაგალითად, ჩემს ამხანაგებს მაცოლას, ჟაირს და მილანის შეუძლიათ შეტევის წარმოება 2-3 „მეთვალყურის“ მიუხედავად.

● შესაძლებლობა მქონდა მენახა და შემესწავლა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთი. ინგლისში მოხვდებიან მხოლოდ მაღალტექნიკური, ფიზიკურად გამძლე გუნდები. ინგლისი, ბრაზილია და იტალია ყველაზე მეტად უპასუხებენ ამ მოთხოვნებს.

თავდამსხმელებს საქმე არა აქვთ მინდვრის შუაგულში. მათი შემტევი უნარი უნდა გამომჟღავნდეს მხოლოდ მეტოქის კარის წინ მდებარე მინდვრის მესამედზე. აქ ფორვარდებმა უნდა იმოქმედონ მაქსიმალურად სწრაფად, ზუსტად და უშეცდომოდ.

● ძალთა სერიოზულ შემოწმებაში მე მუდამ ევროპელებს ვანიჭებ უპირატესობას სამხრეთამერიკელებთან შედარებით. ევროპელები ფიზიკურად უფრო ძლიერნი, გამძლენი არიან და ტაქტიკურ ამოცანებს უფრო სწრაფად წყვეტენ. მათ კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვთ მორალური ერთიანობისა და კოლექტივიზმის გრძნობის სახით. მართალია, ბრაზილიელთა შორის ყოველი მოთამაშე ექვემდებარება გუნდის ინტერესებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი „ვარსკვლავი“ ცდილობს ინდივიდუალურად იმოქმედოს. ჩემი აზრით, მომავალ ჩემპიონატში უძლიერესნი იქნებიან ინგლისი, სსრ კავშირი, იტალია, ესპანეთი და, რა თქმა უნდა, ბრაზილია.

ლ. მულერი,
მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი.

● თავდამსხმელს ამჟამად უჭირს. მას ხშირად 2-3 მცველი ებრძვის. გუნდი, რომელიც დაცვას მეტ ყურადღებას აქცევს, იშვიათად იგებს. ასეთი კოლექტივი იშვიათად თუ შეაგდებს ერთ-ორ ბურთზე მეტს. ბოლო დროს ნაკლები ყურადღება ექცევა გარემარბთა გასწვრივ ჩაწოდებებს, დაცვისთვის კი ასეთი ჩაწოდებები ყველაზე სახიფათოა. უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ ფეხბურთელის ფიზიკურ მომზადებას.

● ძალთა შეფარდებაში ბევრი არაფერი შეცვლილა. ვფიქრობ, რომ ორგზის მსოფლიო ჩემპიონების ქვეყანაში საუკეთესო ფეხბურთელები იზრდებიან. კოლექტივი კარგია, მაგრამ ის ყოველთვის „ვარსკვლავებს“ უნდა ეყრდნობოდეს, როგორც, მაგალითად, უწინ ჩვენთან „რეალი“ ეყრდნობოდა დი სტეფანოს, ამჟამად კი ჰენტოს, პუშკაშს და ამანსიოს ეყრდნობა. ინგლისის ახლანდელ ნაკრებზე მაინცდამაინც მაღალი აზრისა არა ვარ.

▲ პირველი გადამწყვეტი მატჩი ბრაზილიის პირველობაზე ფეხბურთში „ბოტაფოგომ“ მოუგო „სანტოსს“ — 3:2 (3:0). თამაშის მსვლელობის დროს 3 მოთამაშე გაძევებულ იქნა მინდვრიდან. მათს შორის—პელეც.

▲ **ბონი.** ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ უკვე მიიღო მსოფლიო ჩემპიონატში (გამართება ნოემბრის ბოლოს გფრ-ში) მონაწილეობის მსურველთა 14 განაცხადი. ესენი არიან სსრ კავშირი, უნგრეთი, აშშ, გდრ, გფრ, ჩეხოსლოვაკია, დანია, ჰოლანდია, იაპონია, იუგოსლავია, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, შვეცია.

▲ **კრაკოვი.** ადგილობრივი „ვისლას“ კალათბურთელ ქალთა გუნდმა ჩაატარა საპასუხო მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე მონსო-ლე-მინის „ლა ჟერბთან“ (საფრანგეთი) და გაიმარჯვა — 63:45 (35:23). პირველი თამაშის წაგების (50:51) მიუხედავად, პოლონელები ქულათა უკეთესი სხვაობის წყალობით გავიდნენ გათამაშების მეოთხედფინალში.

[illegible]

◆ **რომი,** 16 იანვარი. იტალიის ყინულოვანი ბილიკები იღბლიანია მოსკოველი მოციგურე ევგენი გრიშინისათვის. ამ ქვეყანაში მას ჩინებული შედეგები უჩვენებია 500-მეტრიან დისტანციაზე. დაი, მადონა დი კამპილიოს მაღალმთიან საციგურაოზე გამოსვლისას გრიშინმა კვლავ მიაღწია მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგს მსოფლიოში — 40,3 წამს. მეორე ადგილიც ისევ საბჭოთა სპორტსმენს — ვ. ვასნეცოვს დარჩა — 40,7 წამი. ზეიმის მიზეზი ჰქონდა იტალიელ ე. ლოკატელისაც: მან თუმცა III ადგილი დაიკავა, მაგრამ — თავისი ქვეყნის ახალი რეკორდით — 41,8 წამი.

◆ **ამსტერდამი,** 16 იანვარი. ბევერვეიკის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის პირველმა ნახევარმა ყველაზე მეტი წარმატება უნგრელ დიდოსტატს ლ. პორტიშს მოუტანა. 8 ტურის შემდეგ მას 5,5 ქულა და 1 დაუმთავრებელი პარტია აქვს. II—III ადგილებს იყოფენ საბჭოთა დიდოსტატი ე. გელერი და იუგოსლაველი ოსტატი პ. სმედერევაცი — 5 ქულა თვითეულს. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ლ. პახმანი (ჩეხოსლოვაკია), ნორვეგიელი ს. იუჰანესენი, ბულგარელი მ. ბობოცევი, იუგოსლაველი ბ. ივკოვი და ჰოლანდიელი ი. დონერი.

უწინდებურად ბოლოსწინა ადგილზეა ბაქოელი ოსტატი ვ. ბაგიროვი — 2,5 ქულა. ტურნირის დამთავრებამდე 7 ტური დარჩა.

◆ **კიევი, 16** იანვარი. სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა XXXII ჩემპიონატის XIII ტურში შტეინმა მოუგო პეტერსონს, ხოლო ლუტიკოვმა — ბაკულინს, კორჩნოი—სუეტინის, სახაროვ — კროგიუსის, ლიავდანსკი — ვასიუკოვის, ლეინ — ბრონშტეინის, ოსნოს — ხოლმოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ტალის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა ბანიკთან.

◆ **კლინგენტალი** (გდრ), 16 იანვარი. კვლავ წარმატებით გამოვიდნენ მოთხილამურეთა საერთაშორისო ასპარეზობის მეორე დღეს საბჭოთა სპორტსმენები ვ. ჩერნოვა და რ. აჩკინა. მათ I და II ადგილები დაიკავეს 5 კილომეტრზე რბოლაში. ჩერნოვას დრო 21.46, ხოლო აჩკინასი — 22.14.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

18 იანვარს, საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციის ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 26) შედგება საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციისა და საქართველოს სპორტკავშირის პროპაგანდის ფედერაციების ბიუროს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05416